



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ნოე ქაშიბაძე

01 აპრილი 2014 წელი

„განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №4/129

2011-2013 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის

შინაარსი

აუდიტის მიზანი და მასშტაბი	3
აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის მასშტაბი	3
აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა.....	4
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები	5
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	5
ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა.....	6
აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები და მათი ფუნქციები.....	7
გამოვლენილი გარემოებები	8
საქონელი და მომსახურება.....	8
ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა შენახვა	8
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება.....	10
პრემიები	11
სახელმწიფო შესყიდვები	12

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის (შემდგომში „მინისტრის აპარატი“) 2011, 2012 და 2013 წლების განმავლობაში განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი. -

აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოთქვას მოსაზრება მინისტრის აპარატის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან
- სხვა მარეგულირებელ ნორმებთან

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა, განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, მათ შორის:

- საქართველოს კანონი - სახელმწიფო ქონების შესახებ
- საქართველოს კანონი - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
- საქართველოს კანონი - შრომის კოდექსი
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N605 „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N672 საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N1321 “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა მინისტრის აპარატის 2011-2013 წლების შემდეგი ძირითადი საქმიანობა:

საბიუჯეტო რესურსების განკარგვის კანონიერება და მართლზომიერება;

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2011-2013 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი

ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ აპარატის 2011-2013 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობაა აუდიტი დაგეგმოს და ჩაატაროს იმდაგვარად, რომ მიიღოს საკმარისი და შესაფერისი რწმუნება მოსაზრების გამოსახატავად. აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

- 2011 წელს სატრანსპორტო საშუალებებზე ა/მანქანა BMW-525-ზე და ა/მანქანა Toyota Corolla-ზე გაწეული 830 და 980 ლარის ხარჯვაზე დეფექტური აქტის არარსებობით ფაქტობრივად ვერ დასტურდება სარემონტო სამუშაოების ჩატარების საჭიროება და რეალობა;
- 2012 წელს სატრანსპორტო საშუალებაზე ა/მანქანა Toyota Corolla-ზე გაწეული 165 ლარის ხარჯვაზე დეფექტური აქტის არარსებობით ფაქტობრივად ასევე ვერ დასტურდება სარემონტო სამუშაოების ჩატარების საჭიროება და რეალობა;
- 2013 წელს სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული 190 ლარის ხარჯვაზე დეფექტური აქტის არარსებობით, ხელშეკრულებებში და მიღება/ჩაბარების აქტებში სატრანსპორტო - საშუალებების მითითების გამორჩენით, ასევე ვერ დასტურდება გაწეული ხარჯების რეალობა;
- 2011 წლის 14 მარტს აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროზე გადაცემულ ავტომანქანა NIVA-ზე 31 მარტის მდგომარეობით მოხდა მთელი თვის საწვავის ლიმიტის ჩამოწერა საგზურის საფუძველზე;
- ზუგდიდის ოფისზე მიმაგრებულ ავტომანქანაზე საწვავის ლიმიტის კონტროლის არარსებობა არ იძლევა საწვავის ხარჯვის რეალობის დადგენის შესაძლებლობას;
- მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად შტატგარეშე თანამშრომლების დანიშვნა და მათი სათანადო წესით დაუტვირთაობა მიუთითებს გაწეული ხარჯების მიზანშეუწონლობაზე;
- შტატიან და შტატგარეშე თანამშრომლებზე პრემიის სახით გაცემული თანხების საფუძველი, არ ემყარებოდა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რაიმე დასაბუთებულ მსჯელობებს.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი შეიქმნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის 16¹ მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ აფხაზეთის მინისტრისათვის მიცემული განსაკუთრებული დავალებების შესრულების მიზნით. 2014 წლის 16 იანვრისათვის განხორციელდა მინისტრის აპარატის ლიკვიდაცია.

მინისტრის აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, აფხაზეთის მთავრობის ბრძანებით.

მინისტრის აპარატს გააჩნდა დასრულებული ბალანსი და ანგარიში ხაზინაში, ხარჯთა ნუსხა და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

აფხაზეთის მინისტრი განკარგავდა აფხაზეთის მინისტრის აპარატის საქმიანობისათვის გამოყოფილ სახსრებს.

საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებითა და განკარგულებით მინიჭებული უფლებამოსილების, აგრეთვე თავისი, კომპენტენციის ფარგლებში, აფხაზეთის მინისტრის საქმიანობის განხორციელების მიზნით მინისტრის აპარატი:

- უზრუნველყოფდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებზე, შესაძლო კონფლიქტური და საგანგებო ვითარების შესახებ ღია წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვებისა და მის ანალიზს;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა დაწესებულებებიდან აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სოციალური, კრიმინოგენური, სამხედრო და საგანგებო სიტუაციები, ასევე, კონფლიქტების დარეგულირებისა და აფხაზეთიდან დევნილთა დაბრუნების პერსპექტივების ამსახველი სრული ინფორმაციის მიწოდებას;
- ახორციელებდა აღნიშნული ინფორმაციების და ანალიზს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თანამდებობის პირთა რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადების მიზნით;
- პერიოდულად ამზადებდა მასლას აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებისა და მოლაპარაკებისათვის;
- მონაწილეობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივიაქტები, პროექტებისა და წინადადებების მოკმზადებაში აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებზე;
- უზრუნველყოფდა სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციას;

- სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში აფხაზეთის მთავრობისათვის შეიმუშავებდა შესაბამის ინიციატივებს, წინადადებებსა და დასკვნებს;
- უზრუნველყოფდა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებში გარეთ აფხაზეთის მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირების დამყარებას;
- საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებში გარეთ, სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში, წარმართავდა ურთიერთობებს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საინიციატივო ჯგუფთან და დაინტერესებულ ფიზიკურ პირებთან;
- სამთავრობო პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად უზრუნველყოფდა სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, კონფერენციების, სიმპოზიუმების და სემინარების გამართვას;
- უზრუნველყოფდა აფხაზეთის მთავრობის თანამჯდომარის სპეციალური დავალების შესრულებას;
- ახორციელებდა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის - სამართლებრივი აქტების განსაზღვრულ ამოცანების შესრულებას;

აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები და მათი ფუნქციები

- **საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველო** ახორციელებდა მინისტრის აპარატში შემოსული ინფორმაციის გადახარისხება და საინფორმაციო კრებების მომზადებას, აფხაზეთის კომფლიქტის გარშემო სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებისა და მოლაპარაკებებისათვის მომზადებას, მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებების შესრულებას.
- **სამოქალაქო ინტეგრაციის და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო** ახორციელებდა სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში შესაბამისი ინიციატივების, წინადადებებისა და დასკვნების შემუშავებას, სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში სამთავრობო პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დაგეგმვას, კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების მომზადებას.
- **ადმინისტრაციის სამმართველო** ახორციელებდა საქმისწარმოების ორგანიზებას, მინისტრის აპარატში ოფიციალურად შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას, სისტემატიზაციას და მისი ოპერატიული მიწოდებას ხელმძღვანელობისა და შემსრულებლებისათვის, მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოებას, შრომის წიგნაკების აღიცხვის, შენახვისა და გაცემის წარმოებას.

გამოვლენილი გარემოებები

საქონელი და მომსახურება

2011 წელს მინისტრის აპარატმა შპს „კავკასუს ონლაინთან“ გააფორმა ხელშეკრულება „სტანდარტ-NAT“ პაკეტის მომსახურებაზე, რაც მოიცავდა ინტერნეტ მომსახურებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურმა შეადგინა მომსახურების სააბონენტო გადასახადი კალენდარულ თვეში 76.27 ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით, ხელშეკრულების საერთო ღირებულებამ შეადგინა 915.24 ლარი. მიღება/ ჩაბარება გაფორმდა 2011 წლის დეკემბერში სადაც მითითებული იყო მომსახურების სააბონენტო გადასახადი კალენდარულ თვეში 76.27 ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების საერთო ღირებულება 1,017.24 ლარის ოდენობით, რაც თვეში გამოდის 84.77 ლარი. მომწოდებლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშფაქტურაში ყოველთვიურ სააბონენტო გადასახდელ თანხად დაფიქსირებული იყო 90 ლარი, სადაც 76.27 ლარი მითითებულია დღგს გარეშე, ხოლო 13.72 ლარი დამატებულია დღგ-ს თანხა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ხელშეკრულებაში მოცემული ანგარიშსწორების პირობები არ ემთხვევა არც მიღება/ჩაბარების ჯამურ თანხას და არც ანგარიშფაქტურის მიხედვით ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადს.

ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა შენახვა

2011 წელს მინისტრის აპარატს მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად დაზუსტებული ბიუჯეტით გამოყოფილი ჰქონდა - 401,696 ლარი. საქონელი და მომსახურების მუხლით ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 57,292.21 ლარი, მათ შორის ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯმა შეადგინა 21,465.8 ლარი, აქედან საწვავის ხარჯი შეადგენდა 18,683.8 ლარს, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების შეკეთებასთან დაკავშირებული ხარჯი შეადგენდა - 2,782 ლარს. ა/მანქანა BMW-525 (სახ. ნომერი LAS 408) გაწეული იქნა 830 ლარის ხარჯი, რაც ითვალისწინებდა სატრანსპორტო საშუალების კოროპუსის აღდგენას, მუხრუჭებისა და მუხრუჭის ნაწილების შეკეთებას. გაწეულ მომსახურებასთან (მიმდინარე რემონტთან) დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი დეფექტური აქტი, რის გამოც ვერ დადგინდა (დადასტურდა) ჩატარებული სამუშაოების საჭიროება და რეალობა.

მსგავს ფაქტს ჰქონდა ადგილი ამავე წელს ა/მანქანა Toyota Corolla-ზე (სახ. ნომერი BJB 504) 980 ლარის ხარჯვაზე. ავტომანქანაზე ჩატარებულ ტექნიკურ მომსახურებაზე და სატრანსპორტო საშუალების მოწყობილობების შეკეთებაზე დეფექტური აქტის არარსებობის გამო ვერ დგინდება (დასტურდება) ჩატარებული სამუშაოების საჭიროება და რეალობა.

საყურადღებოა, აგრეთვე გაწეული საწვავის ხარჯი ა/მანქანა NIVA-ზე, რომელზეც 2011 წლის მარტის თვის დასაწყისში გაიცა მთელი თვის ლიმიტი 350 ლიტრი საწვავის ტალონები, ხოლო 2011 წლის 14 მარტს მოხდა ა/მანქანის გადაცემა ბალანსიდან ბალანსზე აფხაზეთის

ეკონომიკის სამინისტროსთვის, მიუხედავად ამისა, ა/მანქანაზე ჩამოწერილია სრული თვის საწვავის ხარჯი. საწვავის ხარჯებში ჩამოწერა მოხდა მარტის თვის ბოლოს საგზურის შესაბამისად, სადაც მითითებულია მთელი თვის გარბენი 2918 კმ, აღნიშნული გარემოება ნათლად მიუთითებებს საწვავის არასწორად ჩამოწერაზე და არამიზნობრივად ხარჯვაზე, რადგან ხარჯად აღიარების მომენტისათვის ავტომობილი არ იმყოფებოდა მინისტრის აპარატის სარგებლობაში.

2012 წელს მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად დაზუსტებული ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 395,725 ლარი. აქედან საქონელი და მომსახურების მუხლით ფაქტიურად გახარჯულია 60,390.78 ლარს, მათ შორის ტრანსპორტის, ტექნიკისა ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი შეადგენს 23,509.3 ლარს საიდანაც საწვავის ხარჯი 19,994.3 ლარია, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების შეკეთებასთან დაკავშირებული ხარჯი 3,515 ლარი, აქედან ა/მანქანა Toyota Corolla-ზე (სა. ნომერი BJB 504) გაწეულია სატრანსპორტო საშუალებების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების ხარჯი 165 ლარის ოდენობით. ავტომანქანის შეკეთებაზე არ არსებობს დეფექტური აქტი და არ დასტურდება რემონტის საჭიროება.

2012 წელს მინისტრის აპარატს გადმოეცა ა/მანქანა Toyota Land Cruiser-ი, რომელიც მიმაგრებული იყო ზუგდიდის ოფისზე. აღნიშნულ მანქანაზე ყოველი თვის დასაწყისში ხდებოდა ბრძანებით გათვალისწინებული საწვავის ლიმიტის ტალონების გაცემა, 2012 წელს გაცემულია 1560 ლიტრი საწვავის ტალონი, რომლის გაცემაც დასტურდება საწვავის გაცემის უწყისის საფუძველზე, სადაც ხელს აწერს პასუხისმგებელი პირი, თუმცა არ მომხდარა თვის ბოლოს საგზურების შექმნა რის საფუძველზეც მოხდებოდა საწვავის ხარჯებში ჩამოწერა. (სამინისტროში შემუშავებულია¹ შიდა კონტროლის მექანიზმად საგზურების გამოწერა საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დასადასტურებლად, სადაც მითითებულია თვის განმავლობაში კონკრეტული მანქანის გარბენი და მოხმარებული საწვავის მოცულობა) ბუღალტრის მიერ აღნიშნული ფაქტი ახსნილია იმ გარემოებით რომ დისტანციურად ვერ ხდებოდა მანქანაზე კონტროლი და ყოველთვიურად მონაცემების აღება.

2013 წელს მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად დაზუსტებული ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 430,615 ლარი აქედან საქონელი და მომსახურების მუხლით ფაქტიურად გაიხარჯა 74,540.29 ლარი, მათ შორის ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯმა შეადგინა 18,885.47 ლარი, აქედან საწვავის ხარჯი 16,574.47 ლარი, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების შეკეთებასთან დაკავშირებული ხარჯი 2,311 ლარი სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების თანხებიდან მოხდა 140 ლარის ღირებულების აკუმულატორის შეძენა, რომელზეც არ არსებობს დეფექტური აქტი იმის შესახებ თუ

¹ მინისტრის აპარატში აღნიშნული სახით საწვავის კონტროლზე საგზურების გამოწერა არ იყო ბრძანებით ან რაიმე სხვა ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე შემოღებული, თუმცა ამ სახით აღრიცხვას შიდა კონტროლისთვის იყენებდა ბუღალტერი.

რამდენად აუცილებელი იყო აკუმულატორის შეცვლა. გარდა ამისა, მომწოდებელთან დადებულ ხელშეკრულებაში და მიღება/ ჩაბარების აქტში არ არის მითითებული თუ რომელ მანქანაზე მოხდა აკუმულატორის შეცვლა.

ამავე წელსვე გაწეულია 50 ლარის ღირებულების ავტომობილის შეკეთების ხარჯი, ამ შემთხვევაშიც არ არის წარმოდგენილი დეფექტური აქტი, რომელშიც აისახებოდა თუ რა სახის შეკეთებას საჭიროებდა ავტომობილი, ვერც ავტომობილის იდენტიფიცირება ხდება შედგენილი ხელშეკრულებით და მიღება/ჩაბარების აქტით.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

აფხაზეთის მინისტრის ბძანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2012 წელს მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 4 მომუშავე აქედან 2 უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე და მათზე ანაზღაურებამ ხელფასის სახით 15,650 ლარი შედგინა, ხოლო პრემიამ 1,225 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 2 პირი აყვანილი იყო მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად საინფორმაციო-ანალიტიკური სამართველოს უფროს სპეციალისტებად, კერძოდ, მათზე დაკისრებული იყო: აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ, მოქალაქეთა გამოკითხვის მეშვეობით ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება(1.01.2012-1.01.2013-თვეში 800 ლარის ანაზღაურებით და 3.01.2012-31.12.2012. თვეში 550 ლარის ანაზღაურებით), აღნიშნულ შტატგარეშედ მომუშავე თანამშრომლებს დაკისრებული ჰქონდათ ისეთი მოვალეობები, რომელიც სამინისტროს დებულებით განსაზღვრული შტატით მომუშავეთა ფუნქციებს შეესაბამებოდა და აღნიშნულ მოვალეობების შესასრულებად შტატით გათვალისწინებული იყო 6 თანამშრომელი. ამ მხრივ ჩატარებული შემოწმებითა და მინისტრის აპარატიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით გაირკვა, რომ არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა შტატგარეშედ აღნიშნული მოსამსახურეების სამსახურში აყვანა და მათზე ანაზღაურების სახით თანხების გადახდა. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ვერ დასტურდება შტატგარეშე მოსამსახურეთა დატვირთვა.

2013 წელს მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 6 მომუშავე, ხოლო ოქტომბრის თვიდან დაემატათ 2 მომუშავე, რომელთა განთავისუფლება მოხდა შტატიანი თანამშრომლების ნუსხიდან და დროებითი ხელშეკრულებით დაინიშნენ

შტატგარეშე თანამშრომლებად. 8 შტატგარეშე მომუშავედან 3 იყო უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო 3 სპეციალისტის თანამდებობაზე, აქედან 2 თანამშრომელზე გაფორმებული იყო ხელშეკრულება 12 თვით მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, 1 თანამშრომელზე 11 თვით და 1-ზე 9 თვით, კერძოდ მათზე დაკისრებული იყო: აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება (3.01.2013-31.12.2013. თვეში 580 ლარის ანაზღაურებით), აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება (3.01.2013-31.12.2013 თვეში 500 ლარის ანაზღაურებით), აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება (18.01.2013- 31.12.2013 თვეში 800 ლარის ანაზღაურებით - აღნიშნული ფუნქცია მოვალეობები სამინისტროს დებულებით განსაზღვრული შტატით მომუშავეთა ფუნქციებს შეესაბამებოდა. შტატგარეშედ გაცემული ანაზღაურება სულ შეადგენდა 45,285 ლარს, აქედან 3 თანამშრომელზე, რომელიც 12 თვით იყვნენ აყვანილები გაცემული იყო 22,121.34 ლარი - ხელფასის სახით და 690 ლარი პრემიის სახით. ამ მხრივ ჩატარებული შემოწმებითა და მინისტრის აპარატიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით გაირკვა, რომ ვერ დასტურდება შტატგარეშე მოსამსახურეთა დატვირთვა, არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა შტატგარეშედ აღნიშნული მოსამსახურეების სამსახურში აყვანა და მათზე ანაზღაურების სახით თანხების გადახდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად აყვანილ შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული ანაზღაურება და პრემია 2011-2013 წლებში:

შტატგარეშე თანამშრომლები (ხელფასები)	2011	2012	2013	პრემია
ნონა ხუნჯუა	5500			
კონსტანტინე ჯღამაია		9600		400
გულიადა ჭკადუა		6051	6960	1115
მანანა დემურია			9161	400
თამაზ პატარაია			6000	
	5500	15651	22121	1915

პრემიები

2011-2013 წლებში აფხაზეთის მინისტრის ბრძანებით შტატიან და შტატგარეშე თანამშრომლებზე პრემიის სახით გაცემული თანხების საფუძველი, არ ემყარებოდა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რაიმე დასაბუთებულ მსჯელობებს. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის სამინისტროში პრემია არ წარმოადგენდა წახალისების

საშუალებას, იგი იყო ჩვეულებრივად მისაღები ხელფასის ნაწილი. თავისი არსით კი პრემია უნდა გაიცეს თანამშრომელთა წახალისების და მათი მუშაობის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით და არა ხელფასის სახით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2011-2013 წლებში შტატთან და შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები და პრემიები :

ანაზღაურება	2011	2012	2013
ხელფასი შტატთან თანამშრომლებზე	280538	281623	292728
პრემია შტატთან თანამშრომლებზე	54760	41870	38794
ხელფასი შტატგარეშე თანამშრომლებზე	22778	25200	43080
პრემია შტატგარეშე თანამშრომლებზე		1600	2205
	358076	350293	376807

სახელმწიფო შესყიდვები

სამინისტროს მიერ 2011-2013 წელს განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულია 251 ხელშეკრულება, საიდანაც 245 შემთხვევაში ჩატარებულია გამარტივებული შესყიდვა და 2 შემთხვევაში გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ხოლო ავტომატური საწვავის და ფიჭური სატელეფონო კავშირის მომსახურების შესყიდვები 2013 წელს განხორციელდა კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის გზით.

2011 წელი

შესყიდვების საშუალება	რაოდენობა	ხლშ. ღირებულება	გადახდა
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	2	31200	30684
გამარტივებული შესყიდვა	45	13546	10658

2012 წელი

შესყიდვების საშუალება	რაოდენობა	ხლშ. ღირებულება	გადახდა
კონსოლიდირებული ტენდერი	1	20000	19994
გამარტივებული შესყიდვა	90	12609	12137

2013 წელი

შესყიდვების საშუალება	რაოდენობა	ხლშ. ღირებულება	გადახდა
კონსოლიდირებული ტენდერი	3	23233	18238
გამარტივებული შესყიდვა	110	12647	12514

აუდიტის პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების წლიური და კორექტირებული გეგმები, ასევე მიმდინარე და განხორციელებული შესყიდვების ანგარიშები სააგენტოში წარდგენილია დადგენილი ვადების დაცვით.

აუდიტორთა ხელმოწერა:

შორენა თირქია

01 აპრილი 2014 წელი

